1 აპრილი, 2021 წ.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

2021 წლის 1 აპრილს გაიმართა თსუ რექტორის ბრძანებით (ბრძანება N: 17/01-01, 25.02.2021) თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ თსუ რექტორის ბრძანებით (ბრძანება N29/01-01, 17.03.2021) დანიშნული კომისიის წევრები: თავმჯდომარე - პროფესორი ლიანა გოგიაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - მაია მჭედლიშვილი, კომისიის მდივანი - ციური სუმბაძე და წევრები: ზურაბ ჩხაიძე და ნანა ბაკურაძე.

დღის წესრიგი:

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტში ვაკანტური მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის კანდიდატების მიერ შემოტანილი საბუთების განხილვა-შესწავლა და კონკურსის შედეგების შეჯამება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ლიანა გოგიაშვილის ანგარიში თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტში ვაკანტური მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ კონკურსი გამოცხადდა 25 თებერვალს და ინფორმაცია ამის თაობაზე განთავსდა თსუ-ს ვებ-გვერდზე. 26 მარტიდან 31 მარტამდე მიმდინარეობდა საბუთების მიღება ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ ოთახში, რომელიც ღია იყო სამუშაო დღეებში 10^{00} სთ-დან 17^{00} -მდე. ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის - მეცნიერი თანამშრომელი - დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიაში შემოვიდა მხოლოდ ერთი კანდიდატის - მარიამ კაკაბაძის განცხადება თანდართული დოკუმენტაციით. ლიანა გოგიაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ძალზე სამწუხაროა, დაბალი ხელფასების გამო სამეცნიერო სფეროში მუშაობით სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა რომ არის დაინტერესებული.

კომისიის თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ კომისიას განეხილა მარიამ კაკაბაძის დოკუმენტაცია და მიეღო გადაწყვეტილება.

კომისიამ განიხილა და შეაფასა კონკურსანტის, მარიამ კაკაბაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ კანდიდატი სათანადოდ აკმაყოფილებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესითა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებით“ (თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილება) დადგენილ მოთხოვნებს. აქვს 2 სამეცნიერო ნაშრომი და ორივე მაღალრეინტიგულ ჟურნალებში. კომისიას მიაჩნია, რომ მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტში მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად მისაღებია მარიამ კაკაბაძის კანდიდატურა.
ჩატარდა ღია კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთივე წევრმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -5, წინააღმდეგი - 0;

დაადგინეს: თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტში მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩეულ იქნას მარიამ კაკაბაძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ლ. გოგიაშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	მ. მჭედლიშვილი
საკონკურსო კომისიის მდივანი	ც. სუმბაძე
საკონკურსო კომისიის წევრები:	ზ. ჩხაიძე
	ნ. ბაკურაძე